

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს მთავრობა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა,
შემდგომში "მხარეები",

- ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას თანამშრომლობას გარემოსა და
ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში,

- თვლიან, რომ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს
მდგრადი განვითარებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპების
განმტკიცებას,

- ითვალისწინებენ რა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს,
არსებულ გამოცდილებასა და საერთაშორისო ვალდებულებებს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები ითანამშრომლებენ თანასწორობისა და ინტერესების
ურთიერთპაგივისციემის პრინციპებზე დაყრდნობით, და გაითვალისწინებენ
მოქალაქეთა უფლებას იცხოვრონ ეკოლოგიურად ჯანსაღ გარემოში.

მუხლი 2

მხარეები ყველა ღონეს იხმარენ გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის
(მათ შორის რადიაციული) ეროვნულ სისტემებსა და შესაბამის მონაცემთა
ინფორმაციულ ბანკებს შორის ურთიერთკავშირების დამყარების მიზნით.

მუხლი 3

მხარეები გარემოს მდგომარეობის ხარისხის და კონტროლის შეფასებისას
ეცდებიან გამოიყენონ ერთიანი მიდგომები, კრიტერიუმები, ნორმატივები,
სტანდარტები, მეთოდები და პროცედურები.

მუხლი 4

მხარეები ითანამშრომლებენ გარემოს დაცვის გლობალური და
რეგიონალური პრობლემების, მათ შორის ჰავის გლობალური ცვლილების,
ომონის შრის და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების
პრობლემების გადაწყვეტაში.

მუხლი 5

მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით მხარეები ითანამშრომლებენ რესურსდამზოგველი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების სრულყოფის, დანერგვის, გადაცემისა და ადაპტირების სფეროში, განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, შეიმუშავენ და რეალიზებენ მოახდენე ერთობლივი მოკლე და გრძელვადიანი გარემოსდაცვითი პროგრამების.

მუხლი 6

მხარეები დაამუშავენ და მიიღებენ აუცილებელ ზომებს ძუძუმწოვართა და ფრინველთა მიგრირებადი სახეობების და აგრეთვე მათი სამიგრაციო გზების დაცვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 7

მხარეები ითანამშრომლებენ არასასურველ ანგროპოგენურ ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზღვრისპირა ეკოსისტემების დაცვისა და რეგულირების საკითხებში და მიიღებენ ზომებს მათი სიცოცხლისუნარიანობის აღდგენისა და უზრუნველყოფისათვის.

მუხლი 8

მხარეები ითანამშრომლებენ გრანსასაზღვრო ეკოსისტემების ან მათი ცალკეული უბნების არსებობის ადგილებში განსაკუთრებულად დაცული ზონების შესაქმნელად, ამ ზონებში მხარეთა მიერ სამეურნეო საქმიანობის რეჟიმის შემდგომი შემუშავებისა და შეთანხმების პირობით.

მუხლი 9

ტექნოგენური ავარიების, სტიქიური და სხვა უბედურების შედეგად საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში, შესაძლო გრანსასაზღვრო ზემოქმედებისას მხარეები იღებენ ვალდებულებას ოპერატიულად შეაგყობინონ ერთმანეთს აგრეთვე დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო ზომები მათი შედეგების ლიკვიდაციის მიზნით.

მუხლი 10

გრანსასაზღვრო გადაზიდვების ეკოლოგიური ასპექტების რეგულირების მიზნით მხარეები იღებენ ვალდებულებას გაუწიონ კოორდინირება ქმედებებს თავიანთი ეროვნული კანონმდებლობების და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

– ბუნებრივი რესურსების გრანსასაზღვრო გადაზიდვებისას (სასარგებლო წიაღისეულის, ხე-ტყის მასალის, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის, ცხოველების, მათი ნაწილებისა და ცხოველქმედების პრექტების);

– სახიფათო გვირგვინების, ნარჩენების და მეორადი ნედლეულის მასალების გრანსასამზრო გადაზიდვებისას;

– გადაშენების პირას მყოფი მცენარეების, ცხოველების და ფრინველების სხვადასხვა სახეობების, მათი ნაწილების ან ცხოველქმედების პროდუქტების გრანსასამზრო გადაზიდვებისას.

მუხლი 11

მხარეები იღებენ ვალდებულებას გამოვიდნენ მოსამზროვე ქვეყნებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე ერთობლივი გარემოსდაცვითი ინიციატივებით, ჩააგარონ ერთობლივი კონსულტაციები იმ ეკოლოგიური პროგრამებისა და პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში.

მუხლი 12

მხარეები, ურთიერთკავშირების განვითარებისა და განმტკიცების მიზნით, გაცვლიან ინფორმაციას გარემოს დაცვის სფეროში.

მუხლი 13

მხარეები იღებენ ვალდებულებას ითანამშრომლონ ეკოლოგიური აღზრდის, განათლებისა, კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და საზოგადოებასთან მუშაობის სფეროში. ამ მიზნით ისინი გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ჩააგარებენ ერთობლივ სემინარებს, კონფერენციებს და პერსონალის სწავლებას.

მუხლი 14

მხარეები აწყობენ ამ შეთანხმების შესრულებაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანოების ხელმძღვანელების რეგულარულ შეხვედრებს, აგარებენ ერთობლივ საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოებს ამ შეთანხმების დებულებებიდან გამომდინარე სამუშაოთა ორგანიზაციისა და შესრულების თაობაზე შეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღების, თანამშრომლობის პროგრამებისა და გეგმების რეალიზაციისა და ამ მიმართულებით სამუშაოთა მდგომარეობის ანალიზის ჩაგარების მიზნით.

მუხლი 15

შეთანხმების დებულებებში, მისი მოქმედების პერიოდის განმავლობაში, შეიძლება შეგანილ იქნეს დამატებები ან ცვლილებები მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ეს დამატებები და ცვლილებები ძალაში შედის შეთანხმების მე-18 მუხლში გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 16

შეთანხმების შესრულებაზე პასუხისმგებელ კომპეტენტურ ორგანოებს წარმოადგენენ:

სომხეთის რესპუბლიკაში – გარემოს დაცვის სამინისტრო;
საქართველოში – გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

მუხლი 17

ამ შეთანხმების დებულებები არ ეხება მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ მესამე ქვეყნებთან დადებული შეთანხმებებიდან.

მუხლი 18

შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების დამადასტურებელი ბოლო წერილობითი შეტყობინების დღიდან და მოქმედებს ხუთი წლის განმავლობაში.

შეთანხმების მოქმედება ავტომატურად შეიძლება გაგრძელდეს შემდგომი ხუთწლიანი პერიოდებით, თუ არც ერთი მხარე შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს თავის განზრახვას შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.

შესრულებულია ქ. ერევანში, 1997 წლის 19 მაისს, ორ ნამდვილ ეგზემპლარად ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტიკურია..

შეთანხმების დებულებათა განმარტების მიზნებისათვის უპირატესობა ენიჭება ტექსტს რუსულ ენაზე.

საქართველოს
მთავრობის სახელით

სომხეთის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით